



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

36

რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა და მისი
სამოკავშირეო შეთანხმებები აფხაზეთსა
და სამხრეთ ოსეთთან

კახა გოგოლაშვილი

ექსპერტის აზრი



2015



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

კახა გოგოლაშვილი

**რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა და მისი
სამოკავშირეო შეთანხმებები აფხაზეთსა
და სამხრეთ ოსეთთან**

36

2015



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7591-9

2014 წლის დეკემბრის ბოლოს გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ასეთი დოკუმენტი რუსეთმა 2010 წელს, საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ მიიღო. ახალი დოქტრინის საჭიროება ამჯერად, როგორც ჩანს, უკრაინასთან დაწყებულმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ გამოიწვია. მიუხედავად ამისა, დოქტრინის გარკვეული დებულებები საქართველოსთვის პირდაპირ ან ირიბ საფრთხეებს შეიცავს. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით სწორედ ამ საფრთხეებზე გავამახვილოთ ყურადღება.

რუსეთის ფედერაციის ახალი სამხედრო დოქტრინით სამხედრო კონფლიქტის შეკავებისა და პრევენციისთვის გათვალისწინებული ზომები, სხვა მიმართულებებთან ერთად, მოიცავს „...ერთობლივი თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის თანაქმედებას აფხაზეთის რესპუბლიკასთან და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან...“¹ აღსანიშნავია, რომ იგივე დოქტრინა რუსეთის ფედერაციის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებას რამდენიმე შემთხვევაში გულისხმობს, კერძოდ:

1. რუსეთის საზღვრებს გარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების დასაცავად;²
2. როდესაც „მოკავშირე სახელმწიფოს“ წინააღმდეგ განხორციელდა „შეიარაღებული თავდასხმა“ ან „ნებისმიერი სხვა ქმედება სამხედრო ძალის გამოყენებით“.³

პირველი მიზეზი დიდ ეჭვებს აღძრავს მისი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მართებულობის თვალსაზრისით, მაგრამ დოქტრინა ჯიუტად აპელირებს მის „შესაბამისობაზე“ საერთაშორისო ნორმებთან. ამასთან, ეს ქმედება დოქტრინაში მოყვანილია იმ ამოცანათა შორის, რომლებიც შეიარაღებული და-

1 Военная доктрина Российской Федерации, 2014, პუნქტი 21(ვ).
www.news.kremlin.ru/media/events/files/41d527556bec8deb3530.pdf

2 იქვე, პუნქტი 22 და 32(კ).

3 იქვე, პუნქტი 24

ლების წინაშე მშვიდობიან დროში დგას, ანუ რუსეთს შეუძლია გამოიყენოს შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი მოქალაქეების დასაცავად და ამას არ მისცეს საომარი ვითარების კვალიფიკაცია. ამ კონტექსტში დამაფიქრებელია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გასაფორმებლად 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში შემუშავებულ შეთანხმებებში⁴ დაფიქსირებული რუსეთის მოქალაქეობის გაცემის გამარტივებული შესაძლებლობა.⁵ ამ შესაძლებლობის ფართოდ გამოყენების შედეგად ამ რეგიონის მაცხოვრებელთა უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდება და მათი „დაცვა“ რუსეთის შეიარაღებული ძალების პირდაპირი ამოცანა იქნება.

მეორე მიზეზი – მოკავშირე ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაზე საპასუხოდ ქვეყნის საზღვრებს გარეთ შეიარაღებული ძალის გამოყენება ასევე საჭიროებს კარგად გაანალიზებას. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის, რომ სამხედრო დოქტრინის მიღება დაემთხვა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან *სამოკავშირეო და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმებების* გაფორმებას, ანუ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართების სტატუსი ახლა ზუსტად ემთხვევა რუსულ სამხედრო დოქტრინაში გამოყენებულ ტერმინებს – მოკავშირე ქვეყნები. მეორე ის, რომ *აგრესიის* ცნება რუსეთის სამხედრო დოქტრინაში არ შემოიფარგლება მისი მოკავშირეების „სუვერენული ტერიტორიის“ მიმართ განხორციელებული სამხედრო შეტევით. ის აგრესიის კვალიფიკაციას ანიჭებს ასევე „მოკავშირე ქვეყნების წინააღმდეგ...“ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას, „...რომლის დროსაც გამოიყენება სამხედრო ძალა“.⁶ ეს ბოლო დეფინიცია შემოტანილია იმისთვის, რომ რუსული სამხედრო ძალის გამოყენება გაამართლოს იმ დროსაც კი, როდესაც არ არსებობს „აგრესიის“

4 შეთანხმება 2014 წლის დეკემბერში გაფორმდა აფხაზეთთან. უახლოეს დროში ასევე მოეწერება ხელი ანალოგიური სახის შეთანხმებას სამხრეთ ოსეთთან.

5 Договор между Российской Федерацией и Республикой Абхазия о союзничестве и стратегическом партнёрстве. 2014. მუხლი 13. იხილეთ: www.kremlin.ru/ref_notes/4783

6 Военная доктрина Российской Федерации, 2014, პუნქტი 24. www.news.kremlin.ru/media/events/files/41d527556bec8deb3530.pdf

აქტის რეალური ფაქტი, ანუ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა და ა.შ., მაგრამ, ადგილი აქვს სამხედრო დაპირისპირებას რუსეთის მოკავშირეებსა და მესამე ქვეყანას შორის.

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი ბუნდოვანი განმარტება?

რუსეთი აპირებს მოკავშირეთა ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამხედრო დაპირისპირება საზღვარზე (გამყოფ ზოლზე) ან სულაც მესამე მხარის (დანარჩენი საქართველოს) ტერიტორიაზე ხდება. მარტივად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს გამყოფ ზოლზე არის ესკალაცია და ისვრიან ორივე მხრიდან. მიღებული დოქტრინის შესაბამისად, რუსეთის შეიარაღებული ძალები ამ მდგომარეობას განიხილავს, როგორც *casus belli*-ს და ჩაებმება სამხედრო მოქმედებებში საქართველოს წინააღმდეგ. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთის მარიონეტული მთავრობის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო შეტევის მოგერიების შემთხვევაშიც კი საქართველოს შეიარაღებული ძალები შესაძლოა გახდნენ რუსეთის არმიის მხრიდან თავდასხმის ობიექტი, იმავე სამხედრო დოქტრინის შესაბამისად, რადგანაც ის ნებისმიერი სახის სამხედრო ძალის გამოყენებას მისი მოკავშირე სახელმწიფოს წინააღმდეგ (დაპირისპირების ადგილის დაუზუსტებლად) განიხილავს აგრესიად და უფლებას იტოვებს დაიცვას მოკავშირე „აგრესორისგან“. დოქტრინის 34-ე მუხლი, რომელიც პრაქტიკულად აჯამებს ომიანობის დროს სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ დოქტრინით დადგენილ პირობებს, გაცხადებულია, რომ „შეიარაღებული ძალების (რუსეთის ფედერაციის) მთავარ ამოცანებს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციისა და მის მოკავშირეთა მიმართ აგრესიის მოგერიება, აგრესორის სამხედრო ძალის დამარცხება და მისი იძულება, რომ შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები იმ პირობებით, რომლებიც აკმაყოფილებს რუსეთის ფედერაციისა და მის მოკავშირეთა ინტერესებს“.⁷ თავისთავად ეს დებულება მიუთითებს, რომ რუსეთი პრაქტიკულად არ განასხვავებს საკუთარი ტერიტორიისა

7 Военная доктрина Российской Федерации, 2014, პუნქტი 34.

და ინტერესების დაცვას მის მოკავშირეების ინტერესთა დაცვის ამოცანებისგან. არც კი მოიხსენიება რაიმე სახის პროცედურა, მაგალითად, მოკავშირე ქვეყნისგან დახმარების თხოვნა. რუსეთის შეიარაღებული ძალები დაიწყებენ სამხედრო მოქმედებებს „აგრესორის“ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ. დოქტრინაში სხვა კიდევ მრავალი პუნქტია შეტანილი, რომელიც ირიბად სწორედ ასეთ ამოცანებს უყენებს შეიარაღებულ ძალებს, მაგალითად, როდესაც მე-12 პუნქტში ლაპარაკია ძირითად საგარეო-სამხედრო საფრთხეებზე, მათ შორის ისეთებზე, როგორიცაა: „...ნატოს ნეკრი ქვეყნების ინფრასტრუქტურის მიახლოება რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან, მათ შორის, ნატოს შემდგომი გაფართოების გზით“; „უცხოური სამხედრო კონტინგენტის ზრდა და მობილიზება რუსეთის ფედერაციის ან მის მოკავშირეთა მიმდებარე ქვეყნებში...“; „ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთის ფედერაციის ან მის მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ“; „კონფლიქტებისა და დაძაბულობის კერების არსებობა რუსეთის ფედერაციის მომიჯნავე ქვეყნებში...“; „მომიჯნავე ქვეყნებში ისეთი რეჟიმების დამკვიდრება.., რომელთა პოლიტიკაც საფრთხეს უქმნის რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს“. გასაგებია, რომ ამ დებულებების უმეტესობა უკავშირდება საქართველოს, რაც შესაბამისად რუსეთის შეიარაღებულ ძალებს კარნახობს ჩვენს საზღვრებთან, ანუ ამ „პოტენციურად სახიფათო სტრატეგიულ მიმართულებით...“ ჰყავდეს მობილიზებული და სრულ საომარ მზადყოფნაში სათანადო რაოდენობის ბრძოლისუნარიანი კონტინგენტი.⁸

რუსეთს სულაც არ სჭირდება კონკრეტულად აფხაზეთის ან, მით უმეტეს, სამხრეთ ოსეთის ჯარების ჩართვა ამ პროვოკაციებში. მათთან გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულებების შესაბამისად,⁹ რუსეთსა და მის „ახალ მოკავშირეებსა და სტრატეგიულ პარტნიორებს“ ერთიანი შეიარაღებული ძალები ჰყავთ.¹⁰ სამხრეთ ოსეთთან დაგეგმილი შეთანხმების შემთხვევაში, შეიარა-

8 Военная доктрина Российской Федерации, 2014, პუნქტი 32. დ.

9 სამხრეთ ოსეთთან შეთანხმება იანვრის ბოლომდე გაფორმდება.

10 Договор между Российской Федерацией и Республикой Абхазия о союзнничестве и стратегическом партнерстве. 2014. მუხლი 5.

ღებულის ძალები უპირობოდ ერთიანდებიან, ხოლო აფხაზეთთან დადებული ხელშეკრულებით ასეთ მდგომარეობას ფორმალურად წინ უნდა უძღოდეს მხარეების მიერ აღიარებული „აგრესიის საფრთხე“,¹¹ რომლის „გაფორმებაც“ მათ არ გაუჭირდებათ, როგორც კი ამას რუსეთის გეგმების განხორციელება მოითხოვს.

კიდევ ერთ დამატებით ჰიპოთეტურ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ არც სამხრეთ ოსეთს და არც აფხაზეთს, რომელთა დამოუკიდებლობაც რუსეთმა ცნო, არ გააჩნია საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრები, მათ შორის საქართველოსთან, რომელსაც მეზობელ სახელმწიფოდ მიიჩნევენ. ერთი მხრივ, ეს ჩვენ უპირატესობას გვანიჭებს – ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხის საერთაშორისო სამართლებრივი გამყარების თვალსაზრისით, მაგრამ მეორე მხრივ ეს ვითარება შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა „მცოცავი ოკუპაციის“ განსახორციელებლად. კერძოდ, ნებისმიერი ახალი ტერიტორიული პრეტენზია დანარჩენი საქართველოს მიმართ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ უბრალოდ სამხედრო ქვედანაყოფებით სასურველი ტერიტორიის მყისიერი დაკავებით, ხოლო თუ საქართველოს შეიარაღებული ძალები სტატუს-კვოს აღდგენას ეცდებიან, რუსეთის შეიარაღებული ძალები ვალდებულია ჩათვლიან თავს და მიიღებენ კიდევაც ბრძანებას დაიცვან „მოკავშირეები მათ წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების ფაქტის წინაშე“. ამ ქმედებების პოლიტიკური „გამართლება“ კი რუსეთის ფედერაციის მთავრობის შემდეგი არგუმენტებით მოხდება:

1. რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ცნობს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად;
2. ამ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ საქართველოსთან დელიმიტირებული საზღვრები;
3. საქართველო არ ცნობს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობას, არ ანარმობს მათთან არავითარ მოლაპარაკებას;
4. ამის გამო წარმოშობილი ტერიტორიული დავები კონფლიქტის ხასიათს იღებს;

¹¹ იქვე. მუხლი 7. პუნქტი 2.

5. კონფლიქტის ესკალაცია შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა;
6. რუსეთის ვალია საკუთარი მოკავშირეების წინააღმდეგ მესამე მხარის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება აღკვეთოს და მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების ზონაში „დროებით შეიყვანოს შეზღუდული კონტინგენტი“.

„ზონამ“ შესაძლოა ისეთი მასშტაბები მიიღოს, რომ რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მოექცეს საქართველოს რეგიონები, რომელთა გავლითაც რუსეთის ჯარს ექნება საშუალება სამხრეთ ოსეთიდან სომხეთს დაუკავშირდეს, რითაც რუსეთის უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა იქნება გადაწყვეტილი; ან აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმთან პროვოცირებულ კონფლიქტში ჩარევის შედეგად მოახდინოს ანაკლიისა (ჯერ მშენებარე) და ფოთის პორტების ოკუპაცია. ამის შემდგომ კი, რუსეთის მთავრობა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას აწარმოოს მოლაპარაკებები მის მოკავშირე რეჟიმებთან და მათთან ტერიტორიული დავა მოაგვაროს მშვიდობიანად. ეს კი, თავისთავად ჩიხური მდგომარეობაა, ანუ ახალი სტატუს-კვო, რომელშიც ერთიანი საქართველო მხოლოდ რუსეთის ქვეშ (ისიც – უკეთეს შემთხვევაში) შეიძლება არსებობდეს.

ანალოგიური სცენარები შეიძლება სხვა მიმართულებებითაც ვივარაუდოთ, უფრო რთული „კომბინაციების“ გამოყენებით, რომელზედაც საუბარს ახლა არ დავიწყებთ, უსაფუძვლო სპეკულაციების შთაბეჭდილება რომ არ დატოვოს. მხოლოდ მივანიშნებთ, რომ რუსული სამხედრო დოქტრინის სულისკვეთება და ლოგიკა ანალოგიურად ვრცელდება მის მიერ შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებზეც, ანუ ნებისმიერი პოლიტიკური და, მით უმეტეს, სამხედრო ხასიათის დაპირისპირება ამ ჯგუფის ქვეყნებთან შეიძლება ასევე გამოიყენოს რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ აგრესიის გასამართლებლად.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, მაგრამ მისი განხორციელების საფრთხე სრულებით რეალურია.

განვიხილოთ, რამდენად აქვს რუსეთს მოტივი ასეთი ქმედებისთვის?

პასუხი პოზიტიურია: რუსეთმა მოიპოვა სტრატეგიული უპირატესობა საქართველოზე, როდესაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიპყრო. ასევე, როდესაც სომხეთში სამხედრო ბაზა შეინარჩუნა და მრავალი წლით დაიმკვიდრა იქ ყოფნა. ამითი საქართველოს ნატოსთვის მიმზიდველობა დააკნინა, მაგრამ რუსეთმა ვერ მოახერხა აზერბაიჯანის თურქეთისგან „გამიჯვნა“, ასევე დასავლეთის ქვეყნების კასპიის რეგიონთან დამაკავშირებელი დერეფნის „ჩაკეტვა“ ან ვეტო ნატოს სამხრეთ კავკასიისკენ გაფართოებაზე, თუ გნებავთ – აშშ-ის სამხედრო ბაზის საქართველოში დაფუძნების შესაძლებლობის გამორიცხვა. ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ გამონკვევებისა, რომელთა გადანყვეტასაც რუსეთი სამომავლოდ გეგმავს. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელშეკრულებების გამოყენება კი ზემოაღნიშნულ კონტექსტში რუსეთს ფართო შესაძლებლობებს უხსნის.

რა თქმა უნდა, რუსეთი, ზემოაღნიშნული მიდგომების გამოყენების შემთხვევაში, დაარღვევს საერთაშორისო ნორმებს. ამიტომ თითქოსდა რა აზრი უნდა ჰქონდეს მისთვის ასეთი „შემოვლითი“ გზებით სიარულს, *მას ხომ შეუძლია პირდაპირ დაესხას თავს საქართველოს?*

ასეთ კითხვაზე პასუხისთვის მოგვინევს კიდევ ერთხელ ჩახედვა რუსეთის სამხედრო დოქტრინაში, სადაც სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა თავშია ნათქვამი, რომ „ეს მოხდება **საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპებისა და რუსეთის ფედერაციის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების** სრული დაცვით“. რაც შეეხება საერთაშორისო ნორმებსა და პრინციპებს, რუსეთი უკვე დიდი ხანია მათ საკუთარ ინტერპრეტაციას სთავაზობს საერთაშორისო საზოგადოებას. ამიტომ მას ვერ შეაჩერებს საერთაშორისო სამართალი, თუ მისი დარღვევის პირობები განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მაგრამ პირდაპირი, უმიზეზო აგრესია ვერ იქნება გამართლებუ-

ლი ვერც ერთი ამჯერად „განზე მდგომი“ სახელმწიფოს მხრიდან. რუსეთი დღეს დასავლეთის ქვეყნებს იზოლაციაში ჰყავთ ყირიმის ანექსიის გამო, მაგრამ მას არ უნდა სრულ იზოლაციაში მოექცეს სხვა აქტორების მხრიდანაც (ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა), რომლებსაც მოუწევთ ასეთი პოზიციის დაჭერა, თუ რუსეთის ფედერაცია სუვერენული სახელმწიფოს მიმართ კიდევ ერთ პირდაპირ შეიარაღებულ აგრესიას განახორციელებს.

რაც შეეხება მოყვანილი დებულების მეორე ნაწილს (საერთაშორისო ხელშეკრულებები), რუსეთის ფედერაციამ უკვე არაერთი ისეთი ხელშეკრულება დადო, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს არ პასუხობს, მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება შეიძლება ან პირველ, ან მეორე პირობას ეწინააღმდეგებოდეს. არავითარი განმარტება იმის თაობაზე, თუ რომელი პირობაა უპირატესი ძალის მქონე (საერთაშორისო სამართლის ნორმა თუ საერთაშორისო ხელშეკრულება), რუსეთის კანონმდებლობაში არ არსებობს, ამიტომ რუსეთის მთავრობა ლეგიტიმურად მიიჩნევს ისეთ ქმედებას, რომელიც ერთ-ერთს აკმაყოფილებს და ალბათ მკითხველისთვის გასაგებია, რომელსაც...

ერთადერთი „პოზიტიური გარემოება“, რაც შეიძლება დოქტრინის კითხვისას შევნიშნოთ არის ის, რომ რუსეთი პრევენციული ფორმით ბირთვულ იარაღს გამოიყენებს მხოლოდ თავისი სახელმწიფოებრიობისთვის ეგზისტენციალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით მონინალმდეგე ამარცხებს მას, მაგალითად, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შედეგად, თუ საბრძოლო მოქმედებები რუსეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს. დოქტრინის ეს დებულება არ ვრცელდება მისი მოკავშირეების დაცვის აუცილებლობით განპირობებულ სიტუაციებზე. ამრიგად, თეორიულად ჩვენ არ გვემუქრება რუსეთიდან ბირთვული შეტევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ შევძელით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იარაღის ძალით დაბრუნება.

რეზიუმეს სახით შეიძლება დავასკვნათ:

- აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან რუსეთის სამოკავშირეო შეთანხმებები სრულად შეესაბამება რუსეთის ახალ სამხედრო დოქტრინას;
- დოქტრინისა და ამ შეთანხმებების თავსებადობა მაღალი ალბათობით ქმნის საქართველოს მიმართ მორიგი აგრესიის საფუძველსა და იძლევა ამ აგრესიის განხორციელების შესაძლებლობას მაღალი ხარისხით;
- ამ შესაძლებლობის ეფექტურად რეალიზაცია მოხდება შესაბამისი საერთაშორისო სიტუაციის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ხოლო აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ მთავრობას (ერთ-ერთს ან ორივეს) გამოიყენებენ საქართველოს წინააღმდეგ ამ აგრესიისთვის საბაზის შესაქმნელად.